ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

№გ.შ.11.07.16 11.07.2016წ.

ერთის მხრივ, **შპს „სახლმწიფო სამშენებლო კომპანია"** (შემდგომში „შემსყიდველი") მისი დირექტორის იოსებ ოზაშვილის სახით და **შპს „ალტა"** (შემდგომში „მიმწოდებელი"), მეორეს მხრივ, წარმოდგენილი მისი დირექტორის კახა ჭოველიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი" თანახმაა მიაწოდოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, ხოლო „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2. საქონლის დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ფასი განისაზღვრება წინამდებარე ცხრილის მიხედვით:

№	დასახელება	CPV კოდი	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი დღგ-ს ჩათვლით)	საერთო ფასი (ლარი დღგ-ს ჩათვლით)
1	**Mobile and smartphones/Huawei/Huawei G8 Dual Slim LTE/3GB 32GB Silver**	**(32250000)**	1 ც	699.00	699.00
					ჯამი: 699.00

2. საქონლის ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 699.00 (ექვსას ოთხმოცდა ცხრამეტი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2.2. ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებიდან 02 (ორი) კალენდარული დღის განმავლობაში.

2.3. ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

3. საქონლის მიწოდების ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ადგილია თბილისი, ცინცაძის ქუჩა №5.

3.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია „შემსყიდველს" საქონელი გადასცეს შესაბამისად გამოწერილი სასაქონლო ზედნადებით და ანგარიშფაქტურით.

4. საქონლის ხარისხი

4.1. შესასყიდი საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსყიდველს უხარისხო პროდუქციის მიწოდებით მიყენებული ზიანი სრული მოცულობით.

5. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

5.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის" მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ „მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

5.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5.3. „შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო „მიმწოდებელი" ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილი იქნება.

6.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების გამო. თუმცა, ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულების მხარეებმა უნდა გაატარონ ყველა კეთილგონივრული ღონისძიება, რათა მინიმალურ დროში იქნეს დაძლეული უუნარობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მინიმალური დაგვიანებით შესრულების თვალსაზრისით. ამასთან, ის ვადა, რომლის განმავლობაშიც ხელშეკრულების მხარემ უნდა შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულება გადაიწევს იმ პერიოდის ექვივალენტური დროით, რომლის განმავლობაშიც ასეთ მხარეს არ შესწევდა აღნიშნული ვალდებულებების განხორციელების უნარი ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, თუ ეს საერთოდ იქნება შესაძლებელი;

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	*"მიმწოდებელი"*
შპს "სახელმწიფო სამშენებლო კომპანია"	**შპს „ალტა"**
მის: ქ. თბილისი, ოთარ ჩხეიძის 10	მისამართი: ქ. თბილისი, ცინცაძის ქუჩა №5
ს/კ: 205140257	ს/კ: 211380691
ბანკი: ს.ს. "თიბისი ბანკი" –	ბანკი: "თიბისი ბანკი"
კოდი: TBCBGE22	კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE17TB1100000360200175	ა/ა: GE06TB0600000013467445
იოსებ ოზაშვილი _____	კახა ჭოველიძე _____